| გაზეთის ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9; ბ. ჩიქოვანის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია" პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე ღირს 7 მ. 25 კ.**

ტფილისი, 28 აპრილი

როგორც წინად მოგახსენეთ, ავლაბრელების ნაჭერი მიწები, რომელთ გამოც ეხლა ჩვენ ლაპარაკი გვაქვს, მიუზომეს ქალაქს საძოვარად და სანახიროდ 1869 წელსა ქალაქის გამგეობამ პირველ ხანშივე მიაქცია ყურადღება ამ მიწებს, როგორც ახალს წყაროს გამორჩომისას საქალაქოდ. თუმცა მაშინდელმა საზოგადო კრებამ ქალაქისამ ეს გამორჩომის აზრი წინ წაიმძღვარა, მაგრამ მისდა სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ავლაბრელების საზოგადოების გაჭირებაც თვალ-წინ დაიყენა და ამიტომაც თავისი მეცადინეობა არ მოაკლო, რომ ავლაბრელებსვე თავიანთ წესისამებრ სჭეროდათ იგი მამული. 27 მარტს 1872 წელს ამ საზოგადო კრებამ ქალაქისამ დაადგინა განაჩენი, რომ ეგ მამული იჯარით გაიცეს სამის წლის ვადით 1-ს აგვისტოდამ 1871 წლისა 1-ს აგვისტომდე 1874 წლისა და თუ ავლაბრის საზოგადოება ისურვებს, მას მიეცეს, თუ არა და გარეშე კაცთა,—მხოლოდ საჯარო ვაჭრობით კი.

ავლაბრის საზოგადოებამ შეიტყო ეს თუ არა, მაშინვე თავისის ვექილების პირით ითხოვა მაშინდელ ქალაქის მართველობისაგან საჯარო ვაჭრობის მოუხდენელად მისცენ საზოგადოებას იგი მამული იჯარით წელიწადში 1300 მანათად სამის წლის ვადით, ხოლო დასაწყისი ვადისა იყოს 1-ი აგვისტო 1871 წლისა კი არა, არამედ 1-ი აგვისტო 1872 წლისა. ქალაქის მართველობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და იშუამდგომელა ტფილისის გუბერნატორის წინაშე, რომ იგი მამული უვაჭრელად მიეცეს ავლაბრის საზოგადოებას და ვადაც იჯარისა შეიცვალოს ავლაბრელების თხოვნისამებრ. ამ შუამდგომლობამ მიაღწია აქაურს უმაღლეს მთავრობამდე და მის მიერ შეწყნარებულ იქმნა. თუმცა ზოგიერთა ფორმალურის მიზეზისა გამო იჯარის ხელ-შეკრულობა მაშინ არ დაიწერა, მაგრამ ავლაბრის საზოგადოება ჰხმარობდა ზემოხსენებულ პირობით მამულებსა და იჯარის ფული 1300 მანეთი წელიწადში შეჰქონდა ქალაქის ხაზინაში. აშკარადა სჩანს აქედამ, მაშინდელი მართველობა ქალაქისა რა გულ-მტკივნეულად მოჰკიდებია საქმეს და ცდილა ქალაქისათვისაც გამორჩომა რამ ყოფილიყო და ავლაბრელებიც არ გამოეწირა.

როცა ამ პირველის იჯარის ვადა 1875 წელს გავიდა, ქალაქის გამგეობა უფრო გაიყოლია გამორჩომის სურვილმა და ავლაბრელების ინტერესი ცოტა არ იყოს ჩრდილში მიაყენა. ეს ცხადადა სჩანს იმ განაჩენისაგან, რომელიც ქალაქის გამგეობამ დაადგინა 19-ს სექტემბერს 1875 წ. ამ განაჩენში სწერია: მიღებულ-იქმნა რა სახეში, რომ მთავრობის მიერ ნება-დართულს იჯარას ვადა შეუსრულდა 1-ს აგვისტოს 1875 წელსა, საჭიროა, რომ იგი საიჯარო მამული ქალაქის საძოვრად და სანახიროდ დაიდვას იმ პირობით, რომ სხვილს საქონელზედ ერთი მანეთი იღოს ქალაქმა და წვრილზედ სამი შაური თითვეში; ამ გზით ქალაქი მეტს გამორჩომას ჰნახავს... და ამიტომ ტფილისის საქალაქო გამგეობამ დაადგინა: ვსთხოვოთ ქალაქის საბჭოს იგი მამულები აღარ გაიცეს იჯარითა და საძოვრად და სანახიროდ დარჩეს ქალაქსა და ზემოხსენებულის ზომით გამოერთვას საბალახო საქონლის პატრონებს საქონლის ძოებისათვის."

ეს განაჩენი გაირჩა ქალაქის საბჭოში 9-სა და 13-ს ოქტომბერს 1875 წელსა. ქალაქის საბჭომ დაადგინა დარჩეს ეგ მამული საძოვრად და სანახიროდ ქალაქის მცხოვრებთა და დროებით ჩამოსულთა სოფლელთათვის უსასყიდლო ხმარებისათვის საქონლის საძოებლად; გამგეობას დაევალოს შეადგინოს პროექტი პირობებისა, რომლის ძალითაც უნდა ეგ მამული გაეცეს იჯარითა და შედგენილი პროექტი წარმოადგინოს განსახილველად საბჭოში. ამ განაჩენის ძალით შემდგარ იქმნა ცალკე კომისია და მოხსენება ამ კომისიისა 22 მაისს 1876 წ. შიგ ჩართულია თვითონ გამგეობის განაჩენში. ამ გამგეობის განაჩენში აი რასა სწერს გამგეობა: «რადგანაც ამ მამულის იჯარით აღებაში უპირატესობა უნდა მიეცეს ქალაქის მკვიდრთა, რომელნიც სასოფლო მეურნეობით სცხოვრებენ, უამისოდ იგინი ძალიან დიდს გაჭირებაში ჩასცვივიან და ცალკე კაცებს ჩაუვარდებიან ხელში გამოსარჩომად, გამგეობამ მოიწვია წარმომადგენელნი კუკიისა, ავლაბრისა და ნათლუხის საზოგადოებისანი მოსალაპარაკებლად. ამ წარმომადგენელთა გამოაცხადეს სურვილი აიღონ ქალაქის მამულები იჯარით, ხოლო სთქვეს, რომ იჯარა უიმისოდაც დიდია და ეძნელებათ მაგოდენა იჯარის გაღება და ამიტომ მომატება იჯარისა შეუძლებელია და ამაზედ სიტყვაც არ უნდა იყოს ჩამოგდებულიო. რამდენჯერმე კიდევ იქმნენ მოწვეულნი ეს წარმომადგენელნი და გამგეობამ თანახმა გაიხადა ესენი იჯარისათვის მოემატებინათ, ხოლო პირველ წლისათვის ითხოვეს იჯარა წინანდელის ზომით დარჩენილიყო."

გამგეობა ამ განაჩენში სხვათაშორის აი რა სამართლიანს აზრს ამბობს: იქნება შესაძლოც იყოს მეტის იჯარის აღება, მაგრამ ამ შემთხვევაში უარ ყოფილ უნდა იქმნას ინტერესები ღარიბის ხალხისა, რომელიც ძველადგანვე სოფლის მეურნეობას მისდევს ქალაქის მიწებზედ და რომელსაც ამ ბოლოს დრომდე თავისად ეგულებოდა ეგ მიწები. მომატება იჯარისა მეტის-მეტად, თვითონ ქალაქისათვისაც არ არის სასარგებლო, იმიტომ-რომ ეგ მომატება მძიმე ტვირთად დააწვება ქალაქის მკვიდრთა ღარიბს ნაწილსა. ქალაქის მართველობის წარმომადგენელთა არ უნდა მოიწონონ ეს ამბავი, რადგანაც მათდა თავ-და-პირველი ვალი ის არის, რომ იზრუნონ ქალაქის კეთილ-დღეობისათვის იმ მხრით, რომ უდიდესმა ნაწილმა ქალაქის მკვიდრთა სიკეთე, განკარგება და შესუბუქება რამ იგრძნოს.

უფველ ამის გამო გამგეობამ დაადგინა: გამოირჩეს იმ მამულებიდამ ქალაქის სანახიროდ დასადებლად შესაფერი ნაწილი და დანარჩენი მიეცეს იჯარით ხსენებულ საზოგადოებათ სამის წლის ვადით და იმ ფასად, რაც მანამდე იყო. ეს განაჩენი გამგეობისა დამტკიცებულ იქმნა საბჭოსაგან 24 მაისს 1876 წელსა. ამ გზით იარა ამ საქმემ და ბოლოს იმაზედ შედგა, რომ ავლაბრელების საზოგადოებას დარჩა მისი ნაჭერი მამულები იჯარით წელიწადში ორას თუმნად სამის წლის ვადით 1880 წლამდე.

12 ნოემბერს 1879 წელს იმის გამო, რომ ავლაბრელების იჯარის ვადა თავდებოდა 1-ს იანვარს 1880 წელსა, ქალაქის გამგეობამ შეიტანა თავისი განაჩენი საბჭოში და ითხოვა ნება-რთვა, რომ ახალი საჯარო ვაჭრობა დაინიშნოს იმ მამულის იჯარით გასაცემად. საბჭოს ოქმში მოხსენებულია, რომ ზოგიერთმა ხმოსანმა ითხოვა თურმე, რომ უვაჭრელად ისევ ავლაბრელებს მიეცეთ იჯარით იგი მამული, მაგრამ საბჭომ გადასწყვიტა უსათუოდ საჯარო ვაჭრობა მოხდეს და პირობად დაიდვას შემდეგი: თუ ვინიცობაა ავლაბრის მკვიდრნი აიღებენ იჯარას, მათ ურთიერთობის თავდებობა ჩამოერთოთ იჯარის ფულის საიმედოდ და თუ ცალკე კაცნი დაირჩენენ ვაჭრობის დროს იჯარას, იმათ კი წინდად გამოერთვათ ფული.

ამ ისტორიიდამა სჩანს, რომ რამოდენადაც დრო გადიოდა, იმოდენად თავ-და-პირველი სამართლიანი მზრუნველობა ავლაბრელთა საზოგადოების მიმართ კლებულობდა და გამორჩომის სურვილი საქალაქოდ ჰმატულობდა. ბოლოს და ბოლოს გამორჩომის სურვილმა სულ გააბათილა წინანდელი აზრი ქალაქის მართველობისა, რომელიც ამბობდა: ქალაქისათვის გამორჩომის სურვილმა უნდა აქ ადგილი დაუთმოს...

# ფელეტონი

## ჯიხვი და შურთხი

(ზოოლოგიური მიმოხილვა)

ორივე ეს ცხოველი ერთ ნაირად უყვართ მთა ადგილებში მცხოვრებთა. ამ ცხოველების მომხიბლავი სილამაზე, სიმარდე, მიუდგომელს მთა-კლდეებში ცხოვრება და იშვიათი მათი დანახვა რაღაც მოწიწებას, ღვთიურს პატივისცემას ჰბადავს მთიელის გულში. სვანების აზრით ყოველი კარგი და ლამაზი არსება ღმერთსაც ისე მომეტებულად უყვარს, როგორც კაცსა; თავის საყვარელს არსებას იგი რაც შეიძლება ადამიანს აშორებს და თავისთან იახლოებს. ასეთის თვალით უყურებს ღმერთი ჯიხვსა და შურთხსაც, რომელთაგან პირველი გარეულის ოთხ ფეხის გვირგვინია და მეორე ფრინველებისა. ცაზე მყოფი ღმერთი განგებ აძლევს მათ ბინას თავის ახლო მაღალის მთების მწვერვალებზე, მიუდგომელს მაღალს კლდეებში, რომ დრო გამოშვებით ინახულოს და ისიამოვნოს თავის ქმნილებათა სიმშვენიერით.

მამალ ჯიხვს სვანები ეძახიან „კვიცრა"-ს, „ღვაშ"-ს და „ჯან"-ს (ხარი). შუათანა ჯიხვს ე. ი. ახალგაზდას—„მულვშირს", ერთის წლის თიკანს—„ფოთრს"-ს; დედალ ჯიხვს—„დი-კვიცრა" ან „დაჳულ კვიცრა"-ს. ტანად მამალი ჯიხვი ორის წლის მოზვერს არ ჩამოუვარდება. რქებიან-ტყავიანათ სრული ჯიხვი 7—8 ფუთზე მეტი გამოვა. ასე ვფიქრობ, რადგან დამთავრებულს ჯიხვს ხუთი ღონიერი კაცი უნდება, რომ თანასწორად დაყოფილი ერთის დღის სავალიდამ სახლში მოიტანონ, თუმცა სვანები ტვირთვის ზიდვას კარგად არიან შეჩვეულნი. ჯიხვი ტანის სიგრძით უფრო მეტია, ვიდრე სიმსხოთი; ჯიხვს შინაურ თხასავით აქვს წვერი და კუდი, ორივე მოკლე; ყურები თავთან შედარებით პატარა აქვს, თვალები მოდიდო, პირი მოგრძო. თავზე აქვს უკან გადაყრილი ორი რქა. რქების სიგრძე სვანეთში ოთხ ნახევარ ტკაველს აღარ ემატება. შესანიშნავია, რომ ჯიხვის რქების სიმსხო—სიგრძე სვანეთის სხვადა-სხვა ადგილას განსხვავებულია; მაგალითად, უშკულის საზოგადოების სანადიროებში ჯიხვს მომეტებული გრძელი რქები აქვს; იფარას და გულახის სანადიროებში კი—მსხვილი და მოკლე. კისერი და მკერდი ჯიხვისა გამბედაობის გამომხატველია; ჩლიქები გაყოფილი აქვს და რბილი, როგორც ცცვილი. ამ გვარი სირბილე ჩლიქებისა ძლიერ უწყობს ხელს ჯიხვს კლდეებში სიარულის დროს. ბალანი აყრია მოკლე, მსხვილი და შხირი. წელიწადში ოთხჯერ იცვლის ბალანს. გაზაფხულიზე ბალანი ჩალის ფერისაა, ზაფხულში წაბლის ფერი გადაჰკრავს, შემოდგომაზედ შავი გამოერევა და ზამთრობით წმიდა რუხის ფერია. სიგემრიელით ჯიხვის ხორცს ვერა ცხოველის ხორცი ვერ შეედრება. ჯიხვმა ძალიან გასუქება იცის. მონადირეების სიტყვით, მსუქანი ჯიხვის ხორცი ერთს ფუთს აიწონს და ფერდის ძვლებზე სამი-ოთხის თითის დადება ქონი აქვს ხოლმე სისქითაო.

საცხოვრებლად ჯიხვს მიუდგომელი მთა-კლდეები უყვარს. გასაოცარი მარდი და ხერხიანი მოსიარულეა კლდეებში! იქ, სადაც არაფერს სულდგმულს ფეხის მოკიდება არ შეუძლიან, ჯიხვი არხეინად დაიარება. ერთის კლდის წვერიდამ მეორეზე გადახტომა; წვეტიანის კლდის ნაპრალის თავზე ოთხივე ფეხებით დასკუპება—ჩვეულებრივი და ადვილი საქმეა ჯიხვისათვის. მონადირეებს შენიშნული აქვთ, რომ ჯიხვი სიარულის დროს, თუ გაუჭირდა, რქებსაც ხმარობს. ვსთქვათ, მაგალითად, ჯიხვი მოჰხვდა იმ გვარს მაღალს კლდეს, საიდგანაც არც წინ, არც უკან და არც ქვეით ფეხის გადადგმა აღარ შეიძლება. და აი ზემოდ კი ჰხედავს კლდის თაროს, შეჰრილს, რომელზედაც ჰსურს ახტეს, რადგან სხვა გზა არ საით დაჰრჩენია, მაგრამ რომ შეჰხედო, იტყვი აქ შეხტომა შეუძლებელიაო; შეუძლებელია იმიტომ, რომ წინა ფეხებით თაროს ნაპირს ვერ შესწვდება. ერთი ეს და მეორეც ისა, რომ თუ პირი იბრუნა შეხტომის დროს კლდისაკენ და უკანა ფეხებზე დადგა, მაშინვე გადატრიალდება, 100—150 საჟენის სიმაღლიდგან ძირს ჩამოვარდება და სრულებით დაიმსხვრევა. ამ გვარს გაჭირებაში თავს იხსნის ჯიხვი რქების შემწეობით; ტანის მოუბრუნებლად უკანა ფეხებზე აიწევს, უცებ შემოჰკრავს რქის წვერებს კლდის თაროს განაპირს, შემდეგ,—რაც ძალა და ღონე აქვს—რქის წვერებზე ჩამოკიდებული ჯიხვი ტანის უკანა ნაწილს აიგდებს და კლდის თაროში ავარდება. აქ ჯიხვი დამშვიდებულია; მონადირის შიში არა აქვს, რადგან თოფის სასროლად ახლოს ვერ მიეკარება და კიდეც რომ მიეკაროს,—მოარტყას თოფი, მონადირისათვის ჯიხვი მაინც დაკარგულია, რადგან აქვე მოკვდება და ამის ხორცით მარტო არწივები დახემსდებიან.

ჯიხვი ღონიერია; მარტო თავში დ

თმოს ღარიბის ხალხის გაჭირებას და ინტერესებსაო. შემდეგ ჩვენა ვნახავთ, რომ ქალაქის გამგეობამ და საბჭომ ამ საქმით და მამულებით ვერც ვერაფერი მოუმატა ქალაქის ხაზინასა და ავლაბრელებსაც მამულზედ ხელი დააბანინა და მთელი 332 სული გასწირა. ფრიად საყურადღებოა, რა გზით მოხდა ეს საოცარი ამბავი, რომ ვერც ქალაქი გამორჩა მეტსა და ავლაბრელების საზოგადოებასაც მთხოვარის გუდა-ნაბადი აჰკიდეს და იმათი სვე-ბედი, წყარო ცხოვრებისა ორს-სამს კაცს ჩაუგდეს ხელში.

## ახალი ამბავი

*** რკინის-გზის სახელოსნოში, რომელიც ტფილისის რკინის გზის სადგურთან არის დაარსებული, ამ თვის 15 ერთი მჭედელი დაბრმავებულა მუშაობის დროს. როცა ამ საბრალოს გამოუღია ცეცხლიდამ გახურებული რკინა და დაუწყვია ცემა კვერისა, რკინას მოსტეხია პატარა ნაჭერი, მოხვედრია თვალში და თვალის კაკალიკი გადმოვარდნია. ექიმებს ეღარა უშველიათ-რა. ეს ხელოსანი ჩამომავლობით ოსია და წვრილ-შვილის პატრონიო.

*** საინგილოდგან გვატყობინებენ, რომ წლეულს აქეთკენ სხვა-და-სხვა გვარი სნეულობა იყოვო და ხალხი საგრძნობლად დააზარალაო. ამ ზამთრის ავადმყოფობისავე მსხვერპლი შეიქმნა ალიბეგლოს მცხოვრებელი გლეხი მოსიკო ასლამაზიშვილი, რომელსაც შინაურულად იმდენი სწავლა მიელო, რომ საკმაოდ იცნობდა ჩვენს ლიტერატურას. მოსიკო ასლამაზიშვილი რამდენსამე წელიწადს უსასყიდლოდ ასწავლიდა თვისის სოფლისავე გლეხების შვილებს. ეს კაცი იყო ერთი პატიოსანი და გავლენიანი კაცი ჩვენში. ამას გარდა 8—9 წელიწადი იგი იყო მამასახლისად სოფ. ალიბეგლოში და ფრიად სინიდისიერად ასრულებდა თვის თანამდებობას. ყველას საყვარელი კაცი იყოვო.

*** სიღნაღის მაზრიდამ გვწერენ, რომ წლევანდელს ამინდებს ჩვენში ძალიან უჩივიანო. მარტი ხომ იყო და იყო, აპრილმაც ვერ დაიჭირა კარგი დარებიო. პირველს ხანს თბილოდა. ამ სითბომ ზოგიერთი ხეხილები გამოიტყუა და ააყვავა და სწორედ ამ დროს დაიწყო წვიმები. წვიმებს თოვლი მოჰყვა. შემდეგ ცოტა ხანს გამოიდარა და ახლა კიდევ სხვა ხეხილიც აყვავდა, ვაზმა ცოტათი კვირტი გამოიღო. პატარა ხანს უკან ვნახოთ და თოვლი კიდევ მოვიდა და ზედ მერე ქარიშხალებიც მოჰყვა. ეხლა კარგი დარებია, მაგრამ მაინც ვშიშობთ, კიდევ არა გვიშილთახოს-რა წლევანდელმა ასეთმა ცვალებადმა ამინდებმაო.

*** ჩვენ გვწერენ გორიდამ: წარსულს ოთხშაბათს, ამ აპრილის 22 დაბრუნდა ოდესიდამ აზ. ქ. კორინთელი, რომელიც მგელმა დაცოფა და რომელიც გუბერნატორის განკარგულებით და სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნა იქაურს საბაქტერიოლოგიო სადგომში მოსარჩენად. დაცოფილი ამ ჟამად სრულიად კარგად არისო, მხოლოდ საბაქტერიოლოგიო სადგომს დაუვალებია დაცოფილისათვის სამჯერ ანუ ოთხჯერ შეატყობინოს თავის ჯან-მრთელობის ამბავი ყოველ ორ კვირის შემდეგ, რათა ამ სახით შემოწმებულ იქმნას, როგორ მოქმედობს პასტერის წესით აცრა ცოფისაო.

ამ შემთხვევაში მთავრობა სწორედ მხნედ მოიქცა და მალე მიეშველა აზ. კორინთელს, რომელიც მართლა დაცოფილი აღმოჩნდა.

*** გაზეთ «მშაკში» ბათუმიდამ მოწერილია ჩივილი იმაზე, რომ ოსმალეთიდამ ბათუმში მრავალი მუშა, ხელოსანი და მთხოვარა სომეხი მოდის სარჩოს მოსაპოებლადაო. ქუჩები მოსულებით სავსეაო, ღამეს სომხის ეკლესიის გალავანში ატარებენო, საშოვარი, სამუშაო კი ვერ მოუპოვებიათო, რადგანაც პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგ სამუშაო საქმე, ხელოსნობა და ვაჭრობა შემცირდაო. ამ მოსულებში მრავალი მოხუცია, ულონო, ბევრი დედა-კაცია. ეს გაჭირებული ხალხი უფრო სომხის ოჯახებში ითხოვენ შემწეობას, მაგრამ, რადგანაც სომხობა აქ მცირეა, ვეღარ გასწვდომია შველასა და შემწეობასაო; ყოველი მოთმინება წრეს გადავიდაო და ამის გამო მომწერი გაზეთისა საჭიროდა სთვლის გამოაცხადოს, რომ ამას იქით მოსულ ხალხს ნუ აქვს იმედი აქაურების შემწეობისაო.

*** ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ რომ ამ ახლო ხანებში სომხურ თეატრის მოყვარის ბ-ნ ჩიმიშკიანის ოცდა-ხუთის წლის მოღვაწეობის დღესდღესასწაულობენო. ახლა გამოცხადებულია, რომ ხუთშაბათს ამ თვის 30 ს საიუბილეო წარმოდგენა იქნება გამართული ტფილისის თეატრში. წარმოადგენენ არტისტის ადამიანის მონაწილეობით რამდენსამე მოქმედებას შემდეგის პიესებიდამ: «კარდინალი რიშელიე», «ჰამლეტი» და «ბეზო», აგრეთვე იქნება ვანის სიმღერები. პიესებში უმთავრესს როლებს ითამაშებს ადამიანის გარდა ჩიმიშკიანი, რომლის ღვაწლს, უეჭველია, საზოგადოება ჯეროვნად დააფასებს.

*** აჭარიდამ ჩამოსულთა გვიამბეს, რომ აჭარისაკენ დიდი პურის ნაკლებობაა, თითქმის შიმშილიაო. ამბობენ, ისეთი ოჯახი იშვიათი არ არის, რომელშიაც სახლის უფროსები თითო ოროლა დღით პურ-უჭმელები არიანო. საკვირველი ეს არის, რომ აქამდინ ამისთანა ამბავი არ ისმოდა და ახლა უცებ თავს იჩენს. მიზეზი, რასაკვირველია ამ უცოდინლობისა ის არის, რომ აჭარიდამ იშვიათად ვინმე ამბავს იწერება გაზეთებში; და ადგილი მივარდნილ ხეობაშია და გამვლელ-გამომვლელი, მგზავრი ან მოვაჭრე ამ ადგილს იშვიათადა ხვდება. ახლახანს ბათუმში ყოფნის დროს, აჭარლებს ახალ გუბერნატორის გრომსმანისათვის უთხოვნიათ შემწეობა, ბ-ნ გუბერნატორს მიუღია თხოვნა და მის გადაწყვეტილებას მოელიან დღეს-ხვალობითაო.

*** ამ ჟამად მთელ აჭარაში ბათუმიდამ ახალ-ციხემდე გზას ხელ-ახლად აკეთებენ. ბათუმიდამ ქედამდე აგანიერებენ ორ საჟენამდე, რომ ურმის სიარული შეიძლებოდეს. ქედადამ ახილ-ციხემდე ჯერ-ჯერობით გზა ერთის საჟენის სიგანედ გაკეთდება ცხენის საველელად და შემდეგ ხანებში გაგანიერდება. ამ ჟამად ხუთასამდე კაცი მუშაობს, თვითონ აჭარლები იღებენ მუშაობას მეიჯარადრე კაცებისაგანაო.

*** ამბობენ, რომ ამ უკანასკნელს დღეებში კინაღამ თავი არ მოუკლავს ერთს რუსეთის აფიცერს, ვგონებთ, გვარად, მიშჩენკოს, რომელსაც მეორე აფიცერი შესწრობია და საცოდავი გადურჩენია სიკვდილს.

*** გაზეთი „ნოვ. ობოზ." გვატყობინებს, რომ აპრილს 24, საქალაქო საბჭოს კრებაზე, ხმოსან ვ. ა. დინგელშტეტს წარუდგენია მოხსენება იმის თაობაზედ,—თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ქალაქმა კავკასიის სამეურნეო გამოფენაში, რომლის გამართვასაც აპირებს მერმის კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაო. ბ-ნ დინგელშტეტს უთხოვნია, რომ გამგეობამ ჩქარა უნდა წარმოადგინოს თავისი მოხსენება საბჭოს წინაშე ამ საგანზე, იმ მასალების მიხედვით, რომელიც კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ წარუდგინა ქალაქის თავსაო.

*** ამ უკანასკნელ დროში ტფილისში ქუჩა-ქუჩა დაიწყეს დატარება ნავთისა. ასეთი ვაჭრობა საქალაქო გამგეობას კანონის წინააღმდეგ საქმედ უცვნია და ამის გამო აპრილის 25-ს, როგორც გვაუწყებს გაზ. „კავკ.", საქალაქო გამგეობას მიუწერნია ტფილისის პოლიცმეისტარისათვის, რომ ყველას აუკრძალეთ ამ გვარი უკანონო ვაჭრობა ნავთისაო.

*** ჩუღურეთში, 27 აპრილს, ესე ღამის 10 საათზე პოლიციელს ფილჩენკოს თავი გაუტეხია ხმლის ქარქაშით გორის ერთის მცხოვრებლისათვის, მიხეილ შჩერბაევისათვის, რომელიც ამ ჟამად თავდებობით არის განთავისუფლებული ციხეში დაპატიმრებისაგან ავკაცობისათვის. ფილჩენკოს იმიტომ დაურტყამს ხმლის ქარქაში, რომ შჩერბაევს წინააღმდეგობა დაუწყვია და გულში მუშტი ჩაურტყამს. შჩერბაევი სამკურნალოში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღევანდელი ევროპა ერთს დიდს, უზარმაზარ სცენას წარმოგვიდგენს, სადაც ევროპის დიპლომატები არტისტებად გამოსულან და ერთს მრავალ-მოქმედებიან დაუბოლოვებელ კამედიასა თამაშობენ. როდის და როგორ გათავდება ეს კამედია? წინადვე ამის თქმა ძნელია, ისეა გადაბმულ-გადმობმული, აწეწილ-დაწეწილი მოქმედებათა მსვლელობა კამედიისა. მხოლოდ ერთი კი შეგვიძლიან ვსთქვათ. სიკეთეს არაფერს მოუტანს უქელა იმათ, ვინც ასე თუ ისე მონაწილეობას იღებენ ამ საქვეყნო კამედიაში. ზოგიერთი არა-სასიამოვნო ნიშანი დღესაც იჩენს თავსა.

აი, მაგალითად, რა საყურადღებო ამბები ამოუკითხავს გაზეთს „Новости"-ს გერმანიის სტატისტიკაში.

> გერმანიის სატახტო ქალაქს ბერლინში მამა-კაცების რიცხვი საშინლად ცოტავდება, დედა-კაცებისა კი, პირიქით, მატულობს. 1871 წელს მამაკაცების რიცხვი კიდევ აღემატებოდა დედა-კაცებისასა, სახელდობრ 8000 სულით მეტი იყო, 1875 წელს კი დედა-კაცთა რიცხვი აღემატებოდა მამა-კაცებისასა 4,400 სულითა.

ამ ამბავმა გერმანიელები ძილიან ჩააფიქრა თურმე. მართლაც და სახუმარი საქმე ხომ არ არის, მამა-კაცების შეცოტავება! სხვა რომ არა იყოს-რა. ჯარებს ვიღათი შეავსებდა ბისმარკი, ქალებით ხომ არა? საქმისთვის რაიმე შველა უნდა აღმოეჩინათ, და აი რა ღონის-ძიებას მიჰმართეს: ბერლინში ჯარები გაამრავლეს. სწორედ რომ საუცხოვო ღონის-ძიებაა!!. მიხვედრა და სნეულობისთვის ნამდვილის წამლის პოვნაც ეს არის! მაინც ვნახოთ, როგორ იმოქმედა ამ წამალმა. აი იგივე სტატისტიკა რას გვეუბნება:

> თუმცა ბერლინში 20 ათასი ჯარისკაცი ჩააყენეს, მაგრამ, როდესაც 1880 წელს გამოიანგარიშეს ბერლინის მცხოვრებთა რიცხვი, აღმოჩნდა, რომ დედა-კაცების რიცხვი 36 ათას სულით მეტია მამა-კაცებისაზე. დღეს ბერლინში 5 ათასი მეტი დედა-კაცია, ვიდრე მამა-კაცი.

ამ სახით ყოველ ხუთს წელში ბერლინს თითქმის 20 ათასი მამაკაცი აკლდება. თუ საქმე ასე წავიდა, შენი მტერი, რომ ბერლინს

---

გულ-ღვიძლში მოხვედრილი ტყვია ჰკლავს; სხვა ადგილას დაჭრილს ჯიხვს მეორედ-მესამედ კიდევ უნდა მოარტყან ტყვია, რომ მოკლან (ჩვენ ვამბობთ სვანურ კაჟიან თოფზე და არა ახალის სისტემის თოფებზე, როგორც მაგალითად, პიბოდე, ბერდანკა). მძიმედ დაჭრილს ჯიხვს ძლივს იკავებს ორი ღონიერი ძაღლი. ჯიხვი სჭამს წვრილ ბალახს, რომელიც ხარობს ახლად აღებულის თოვლის ნადებ ადგილებზე, ხავსს, სხვა-და-სხვა ხის ფოთლებს და კვირტებს. ზამთრობით ჯიხვი კლდის თაროებშია დამწყვდეული. მონადირეებმა დამარწმუნეს, ვითომ ამ გვარს თაროებში შურთხი ზაფხულ-შემოდგომობით ბალახს ინახავს ჯიხვის გამოსაკვებად; თვით შურთხი კი ჯიხვის ნანავალსა სჭამს და ამ ნაირად ირჩენენ თავს ორივენი. დამტკიცებულია, რომ ჯიხვები დიდ შიმშილის დროს ერთი მეორის ბალანსა სჭამენ; ამას ცხადად გვიმტკიცებს გაზაფხულზე მოკლული ჯიხვი. ამ ჯიხვს რომ კუჭი გაუსინჯოთ, ჰნახავთ ბალანსა, ბურთის მსგავსად დარგვალებულსა.

დღეს ჯიხვი კლდის თაროებშია და იცოხნება. საჭმელზე გამოდის ალიონზე და დღე-და-ღამის გაყრაზე საღამოს. კლდის თაროდამ გამოსული ჯიხვი ჩაჰყვება სერს, ხევს, გზა-და-გზა სჭამს ძლიერ ჩქარა და მადიანად. ხევის ძირს თუ მლაშე წყალი ეგულება, მივა იქ, დაეწაფება და ისევ უკან დაბრუნდება თაროში ნელა-ნელა, მუცელ გამოვსებული საჭმელ-სასმელითა. შევა თაროში და არის იქ გაჩერებული საღამომდე. საღამოს ისევ გამოვა საჭმელზე, როგორც დილას, და ასე ყოველ ცისმარე დღეს. მონადირეებმა ეს ჩვეულება ჯიხვისა იციან და ამიტომაც დილა საღამოს უდარაჯებენ ან მლაშე წყალზე ან საველელს გზაზე და ჰხოცვენ. ჯიხვებს ჯოგ-ჯოგადაც უყვართ ცხოვრება, თუმცა მათი ჯოგი ისე დიდი კი არაოდეს იქნება, როგორც არჩვებისა. მონადირეების სიტყვით, ჯიხვის ჯოგი ასამდე იშვიათად ავა. ჩვენ რამდენჯერმე გვინახავს ჯიხვების ჯოგი და უნდა მოგახსენოთ, რომ უკეთესი სანახავი არა იქნება-რა. ტყუილად კი არ ამბობენ სვანები, რომ ჯიხვების ჯოგის შეხედვით ღმერთიც კი სიამოვნებას გრძნობსო. მონადირეებს შეუმჩნევიათ, რომ თუ ჯიხვები ერთად ათზე ნაკლებად არ არიან, მაშინ ამათ უთუოდ ჰყავთ მიჩენილი ერთი ჯიხვი ყარაულად. ეს ყარაული იმ დროს, როდესაც სხვები დამშვიდებული შეექცევიან ჭამასა—არცა სჭამს, არცა სვამს, მხოლოდ გაშმაგებულივით ერთის სერიდამ ან გორიდამ მეორეზე გადარბის, გადახტის და თვალ-ყურს ადევნებს იმ ადგილის გარშემოს, სადაც ჯიხვები არიან, რომ ხიფათი არაფერი მოუვიდეთ, მონადირე არსაით მოეპაროს და მისმა ცხელმა ტყვიამ რომელიმე ამის მოძმე არ გააციოს. ყარაულმა ჯიხვმა თუ რაიმე საფრთხე შენიშნა, მაშინვე შეატყობინებს ჯოგს და ყველანი განჰქრებიან საშიშარ ადგილიდგან. შეშინებული ჯიხვის-ჯოგი ძრიელ შორს გასწევს ხოლმე. მონადირე ყველაზე უფრო იმას სცდილობს, რომ ეს ყარაული როგორმე მოჰკლას, რადგანაც მერმე ჯოგს გზა და კვალი ებნევა, იფანტება და მონადირეს შეუძლიან ჯოგიდამაც კიდევ დაინარჩუნოს რამდენიმე ჯიხვი. მე თვითონ ჩემს თავს არ ვუჯერებდი, როცა ამას ჩემის თვალითა ვხედავდი და როცა ერთხელ დაშინებული ჯიხვები გაუვალს კლდეს სეტყვასავით მისცვივდნენ: ზორბა ტანისა და მარდი ცხოველები, არშინიანის, უკან გადაყრილის რქების პატრონები ისე დახტოდნენ კლდის ნაპრალებში, თითქო ქაჯები არიანო. დღესაც მოჩვენება მგონია ეს სურათი!

ჯიხვი ფრთხილია და ამიტომ მონადირეს დიდი ხერხი და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, რომ ჯიხვმა სათოფეთ მიიკაროს. მონადირეებმა გამოცდილებით იციან, რომ ჯიხვი კაცის ნიავს იკრავს და ამისათვის იმ მხრიდამ, საიდამაც ქარი ჰქრის, არაოდეს არ მიეპარება ჯიხვს, თორემ უთუოდ აღლოს აიღებსო. ჯიხვებს ჰხოცავენ საზოგადოდ ყოველთვის, მთელის წლის განმავლობაში, ყველაზე მომეტებულად კი შემოდგომაზე. ზამთარში, როდესაც დიდი თოვლი მოვა, მონადირეები გაუძღვებიან ხალხს ჯიხვებზე სანადიროდ. მონადირეები კლდეში მიმდგარ ჯიხვებს გამოჰყრიან, ხალხი ქვეით უცდის ხევში. ჯიხვი თოვლში იფლება, აღმართზე ვერ ადის, მარტო დაღმართში ეშვება. მანამ შეუძლიან, ხტის. ბოლოს იღლება და რჩება თოვლში. ამ დროს მიდიან ძაღლებით და ხშირად თოფ უკრავად იჭერენ ჯიხვებსა. ამ გვარი საჯიხვე ადგილები ყოველ საზოგადოებას არა აქვს.

დედალ ჯიხვს ტანიცა და რქებიც უფრო პატარა აქვს, ვიდრე მამალს ჯიხვსა. ბოტობას ჯიხვები იწყებენ ნოემბერში, თიკნები ეყოლებათ ხოლმე ივნისში. მომეტებულ ნაწილად ჯიხვს ერთი თიკანი ეყოლება ხოლმე, იშვიათად—ორი, სამი-კი არაოდესო, დამარწმუნეს მონადირეებმა. ჯიხვების ტყავებიდგან მონადირეები ქურქებს ჰკერავენ ზამთრისათვის. თითო ჯიხვის ქურქი ფასობს 4—6 მანათად.

სამწუხაროდ ჯიხვი თან-და-თან ცოტავდება. სვანეთის მონადირეები რაღაც ღვთის-წყრომას აბრალებენ, რომ

საქმე მოუვა, სრულიად უმამა-კაცოდ დარჩება და ბერლინი დედაკაცების ქალაქად გადაიქცევა.

გერმანიის მეცნიერნი შიშობენ და ამბობენ, —განაგრძობს იგივე გაზეთი, რომ ბერლინში ცოტა ხანს უკან მამა-კაცი სრულიად აღარ იქნებაო. მარტო ბერლინში რომ იყოს ასეთი ამბავი, კიდევ რა უშავს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს სენი მთელს გერმანიას მოსდებია.

კარგად დაუფიქრდნენ ყველანი, ვინც ბისმარკის პოლიტიკას და გერმანიის სამხედრო ძალას შეჭტრფის და შეჭნატრის!..

* * *

გაცოპრიობას, აწინდელ ცივილიზაციას ერთი დიდი სენი სჭირს. ეს სენი ცუდის ყოფა-ქცევის ქალების სიმრავლე, ესრედ წოდებული „პროსტიტუციაა“! რამდენსა ცდილობენ, რომ ამ სენს რაიმე წამალი დასდონ, მაგრამ ვერა უშველიათ-რა. სენი უფრო ვრცლად ედება ჩვენს ცხოვრებას, მეტადრე ეს სენი გაძლიერებულია დიდს ქალაქებში.

სხვებს თუ ვერა გაუწყვიათ-რა, აი გაზეთ «Современныя Извѣстія»-ს ადვილი ღონისძიება მოუძებნია ამ სენის მოსასპობლად. გაზეთი გვარწმუნებს, რომ ჩვენგან მოგონილი ღონის-ძიება უებარი წამალიაო. აი ეს რა წამალია:

თუ გსურთ ცუდის ყოფა-ქცევის ქალების მოშორება, „პროსტიტუციის“ მოსპობა, მოშალეთ საზოგადო ბალებში და ბულვარებზე სკამებიო,—გვასწავლებს გაზეთი. მაშინ ღამ-ღამობით მოსეირნე ქალებისა და მატანტალა გაყაბატონებს ადგილი აღარ ექნებათ, რომ დასხდნენ და თავიანთი საძაგელი და სამარცხვინო საქმეები გაარიგონ: ფეხზე დგომას, ან სიარულს კი დიდს ხანს ვერ შეუძლებენ და ძალა-უნებურად სამარცხვინო ტანტალსა და არშიყობას თავს დაანებებენ.

და ეს საშინელი სენიც, რომელსაც «პროსტიტუციას» ეძახიან, რასაკვირველია, მოისპობა. აი რა ადვილი ყოფილა ადამიანის ზნე-ჩვეულების გასწორება, და აქამდის-კი ვერავინ მიმხვდარიყო! სკამები მოშალეთ—ამაზედ ადვილი წამალი რაღა იქნება?.. ძალიან ჭკვიანი ხალხი უნდა სწერდეს გაზეთ «Современныя Извѣстія»-ში!..

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ბოლგარიის საქმე ჯერ-ჯერობით შუა-წყალზეა გაჩერებული და არ ეტყობა, ბოლგარიის საკეთილ-დღეოდ იქმნება გარდაწყვეტილი, თუ საუბედუროდ. რუსეთი მოლოდინის პოლიტიკას თავს არ ანებებს და დაყინებითა თხოულობს, რომ, ბოლგარიის სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, სარეგენტო მთავრობა სამსახურიდგან გადადგესო. ბისმარკი სცდილობს და ყოველსავე ღონის-ძიებასა ჰხმარობს, რომ ბოლგარიის საქმემ, რაც შეიძლება, დიდხანს გასტანოს და ისე გაუძნელოს აღმოსავლეთის საქმე რუსეთს, რომ მარტო ბოლგარიას ვერ ასდიოდეს რუსეთი. ამასობაში ოსმალეთის მთავრობა აპირობს საცირკულიარო ნოტა გაუგზავნოსო, ამბობენ გაზეთები, და მოითხოვოს, რომ სარეგენტო მთავრობა ბოლგარიისა გადაყენებულ იქმნას სამსახურიდგანაო.

— სოფიიდგან აუწყებენ სამზღვარ-გარეთის გაზეთებს, რომ როდოსლავოვს განზრახვა აქვს სამსახურიდგან გადადგესო. ამავე გაზეთების სიტყვით, სოფიაში ხმა გაუვრცელებიათ, რომ სტოილოვი ვენიდგან აღარ დაბრუნდება, და ვენაში იქმნება, როგორც ბოლგარიის სადიპლომატო აგენტი ავსტრო-ვენგრიაშიო. ეს თანამდებობა ბოლგარიის რეგენტებს მიუნდვიათ სტოილოვისათვის.

— ბერლინის გაზეთ „Post“-ის სიტყვით, ამას წინად რუსეთის გენერალს კაულბარსს, რომელიც ბოლგარიაში იყო რუსეთის აგენტად დანიშნული, ლეიპციგში ულაპარაკნია ზოგიერთ რუსეთის ახალგაზდა მოსწავლეებთან ბოლგარიის საქმეზე და აი სხვათა შორის რა უთქვამს პრინც ალექსანდრე ბატენბერგზედ: ბატენბერგი არამც თუ რუსეთის მტერი იყო და დიდის ძულებით უყურებდა ყველაფერს ჩვენსას, არამედ მთლად ბალკანის ნახევარ კუნძულის დამორჩილებასა და დამონავებას სცდილობდაო. ჯერ ანგარიში კიდევ არ გაუთავებია ბატენბერგს ევროპასთან; დიდად სცდებიან ის პოლიტიკოსნი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ბატენბერგის საქმე გათავებულია და თავის დღეში ველარ შეჰყოფს თავს ბატენბერგი ბოლგარიაშიაო. პირ-იქით, ბატენბერგის ერთად-ერთი ფიქრი და დარდი ბოლგარიაში ბატონობაა; ერთს მშვენიერს დღეს ბატენბერგი ბოლგარიაში გაჩნდება თავის მომხრეთა შორის და კვლავ გაამწვავებს საფათერაკო ბოლგარიის საქმეს, რომელსაც ამდენი ზარალი მისცა და დავიდარაბა აუტეხა მთელს ევროპასა... აი, როცა ეს დღე დადგება, ევროპის დიდნი სახელმწიფონი იწყნევენ თავის შეცდომას და ინანებენ: რად ვესარჩლებოდით ბატენბერგს, რად ვაქეზებდით რუსეთის წინააღმდეგო. მაშინ რუსეთიც ფეხზე წამოდგება, დააყვედრებს ევროპის დიდ სახელმწიფოთ მათს უგუნურს საქციელს და მოითხოვს, რომ აღმოსავლეთის საქმე ჩემ სასარგებლოდ უნდა იქმნეს გარდაწყვეტილიო.

**გერმანია.** ბერლინელი კორრესპონდენტი გაზ. «Temps»-ისა ამბობს, რომ გერმანიის მთავრობამ გარდასწყვიტა, ელზას-ლოტარინგიაში შიშიანობის წესნი გამოაცხადოსო.

— გაზ. «Metzer Zeitung»-ი ამბობს, რომ ახალს სტატს-სეკრეტარს ელზას-ლოტარინგიის მთავრობისას, ბ-ნს შტუდტს განზრახვა აქვს სასტიკი ღონე იხმაროს ამ ქვეყანაში და აღკრძალოს ისეთნი საზოგადოებანი, სადაც მხოლოდ ელზას-ლოტარინგელნი არიან წევრებად და გერმანიელებს-კი არ აძლევენ ნებას, რომ წევრებად ჩაეწერნენო. ამასთან ლაპარაკია, რომ მთავრობასა ჰსურს ელზას-ლოტარინგიიდგან განდევნოს და განაძევოს ყველა ის უცხო ქვეყნელნი, რომელთაც სამხედრო ბეგარა უნდა გადაჰხდეთ და რომელნიც დიდის გავლენისა და შეძლებისანი არიანო.

— ამავე გაზეთის სიტყვით, გერმანიის მთავრობა სასტიკად ეპყრობა თურმე ელზას-ლოტარინგიაში ყველა იმ მკვიდრთ, რომელთაც საფრანგეთის მომხრეობა და გერმანიის წინააღმდეგობა ჰბრალდებათ. მაგალითებრ, ამას წინად გარნიზული 84 წლის ქალი [illegible] განუდევნიათ მეცადგან. ამ ქალმა [illegible] დაჰკლებია, სმენა დაუკარგავს, მთავრობისაგან ნება-რთვა ეთხოვა ერთის წლით მეცში ცხოვრებისა და წასულა მეცში თავის სატკივარის მოსარჩენად; მაგრამ მთავრობას ბრძანება გაუცია და მიზეზთა აუხსნელად განუდევნიათ 24 საათის განმავლობაში.

— ბერლინის გაზეთებს აუწყებენ, რომ როცა შნებელი მიდიოდა გერმანიიდგან, დიდის აღტაცებით ეგებებოდნენ მკვიდრნიო. როცა შნებელმა პორტო-ა-მუღონზე გაიარა, რკინის გზის სადგური სავსე იყოო ხალხით და დიდის აღტაცებით მიეგებაო. პრუარში რკინის გზის მატარებელში შნებელთან ერთად ჩასჯდა პრეფექტი შნერბი, რომელიც პარიჟში დაბარებიათ ისე, როგორც შნებელი იქმნა გერმანიაში დაბარებული. მაქსავილლის ლუდხანაში ჩხუბი ასტეხილა გერმანელ და ფრანგ მომუშავეთა შორის შნებელის გამო და სამი კაცი მომკვდარა ამ ჩხუბში.

**იტალია.** იტალიის გარეშე საქმეთა ახალ მინისტრად კრისპი დაუნიშნავთ. ამ ამბავს დიდი ლაპარაკი და ბაასი გამოუწვევია თურმე. სულ იმას ამბობენ: ვნახოთ, რა გზას დაადგება იტალიის პოლიტიკა ბ-ნ კრისპის გარეშე საქმეთა მინისტრად ამორჩევის შემდეგაო. დიდად საყურადღებოა ამ მხრივ კრისპის უკანასკნელი მიწერ-მოწერა თავის მეგობარ ვილფრიდ დე-ფონვიელთან. აი რას ამბობს თავის სულ უკანასკნელს წერილში კრისპიო. „საყვარელო ფონვიელ! დიდად მესიამოვნა და დიდის სიამოვნებით წავიკითხე თქვენი მოსალოცავი წერილი. ჯერ კიდევ არ დამვიწყებია ის დრო, როცა იტალიაში ცხოვრება აკრძალული მქონდა, განდევნილი ვიყავ ჩემ სამშობლოდგან და საფრანგეთში შევაფარე თავი და ამიტომ გულითა ვარ მსურველი, რომ იტალიისა და საფრანგეთის შორის მეგობრობა სუფევდეს და მშვიდობით დასახლოვებოდნენ ეს ორნი სახელმწიფონი ერთმანერთსა. კრისპი.“

**ავღანისტანი.** სპარსეთის გაზეთი „ფარსი“ სწერს, რომ ფლიგელ-ადიუტანტი ემირისა მუზა-ხანი ჭერათში მოვიდა ჯარის დასათვალიერებლად და გასწყობად. მუზა-ხანს ჭერათის გუბერნატორისათვის ჩაუბარებია აბდურახმან-ხანის ფირმანი, რომელშიაც ნაბრძანებია თურმე, რომ ვისაც რუსეთის მომხრეობა შეატყოთ, დაასპატიმრეთ და დახვრიტეთო. ორი კაცი უკვე დაუხვრეტიათ. ორნი მინისტრად ყოფილნი ეიუბ-ხანთან, სადირ-აზისი და მამედ-ხანი, რომელთაც თავის მველ მბრძანებელ ეიუბ-ხანთან მიწერ-მოწერა ჰქონიათ, დაუპატიმრებიათ და ნაპოვნი წერილები ქაბულში გაუგზავნიათ. ამ წერილებიდგანა სჩანს თურმე, რომ ახმედ-ეიუბს განზრახვა ჰქონია მერვში გაიქცეს, რუსეთის ჯარს წინამძღომლობა გაუწიოს, ამ ჯარით შეესიოს ავღანისტანს და ჭერათი დაიჭიროს.

### კიდევ ორიოდე სიტყვა რუსთაველზედ

ამ რამდენიმე თვის წინად ატყდა პოლემიკა ერთის ჩემგან წარმოთქმულს აზრზედ რუსთაველის შესახებ. მე ვამბობდი, რომ რუსთაველი ამ თავის სიტყვებით: „მე რუსთველი ხელობით“ ამბობს მეთქი რომ რუსთაველობა იმისი ხელობა ყოფილა. შემდეგ წარმოვთქვი ის მოსაზრება, როცა პოლემიკა ასტყდა, რომ შესაძლებელია რუსთაველი ან მთავარი ან ერისთავი ყოფილიყო რუსთავისა, როგორც იყო: თმოგველი, შავთელი, გურიელი და სხვ. ამ მოსაზრებამ უფრო გაამწვავა პოლემიკა, რომელიც, არამც თუ არ დასჯერდა ჩემს შეურაცხებას, და შეეხო ჩემს გონებასაც, ზნეობასაც, მეგობართაც, მკითხველთაც, პატივისმცემელთაც და, წიგნების გამომცემელთაც. მართლაცა და ღირსიც ვიყავ: ქრთილ ვნახოთ რუსთველი, გიჟი კი არა, უზრდელი მოშაირე კი არა,—როგორც წინააღმდეგნი ლაპარაკობდნენ,—მართლა მთავარი ან ერისთავი ან რამე ამ გვარი მოხელე გამომდგარიყო!—მაშინ ხომ დაირღვა იგი შვიდი სვეტი, რომელზედაც ქვეყნიერებაა დამყარებული!... ახლა უმორჩილესად ვთხოვ ამ პოლემისტარებს ეს თავისი ქება-დიდება, რომელიც ჩემს უმეცრებას და ქვეყნის დამღუპველი აზრის წარმოთქმას უძღვნეს, გადიტანონ იმ ისტორიის მწერლებზედ, რომელნიც ატკიცებენ ჩემგნით წარმოთქმულს აზრს.

თუმცა მე წაკითხული მქონდა საქართველოს ისტორია თეიმურაზ ბატონიშვილისა, მაგრამ დამატება, რომელიც იმას წიგნის ბოლოში აქვს ჩართული, მე გავუშვი უყურადღებოდ. ეს დამატება ისეთს სპეციალურს საგანს შეეხებოდა, რომ არ დავინახე ჩემთვის საინტერესოდ და დამრჩა წაუკითხავი. ამ დღეებში შემთხვევით მომიხდა ამ დამატების თვალის გადავლება და აი რა ამოვიკითხე აქ რუსთაველზედ, რომელიც აქვს იმას დამყარებული ტიმოთეს მოგზაურობასა და გორგიჯანიძის ისტორიაზედ:*)

*) ძალიან სამწუხაროა, რომ აქამდის გორგიჯანიძის საქართველოს ისტორია არ არის გამოცემული. შესაძლებელია ბევრი კიდევ ამ გვარი რამ საინტერესო ცნობანი ჰქონდეს იმასა, რომელნიც არ ვიცით და არ არის „ქართლის-ცხოვრებაში“ შეტანილი. ავტ.

---

უწინდებურად ჯიხვის დიდ ჯოგებს ვერ პოულობენ ეხლა; მიზეზი-კი ჯიხვების შემცირებისა ცხადია: მუდამ წელს ხოცვენ ბლომად, ხოცვენ გაურჩევლად დედალ-მამალსა, მაკეს და თიკნებსა და, უეჭველია, შემცირდება მათი რიცხვი, მაშ რა მოუვათ.

ჩვენ ვიცით, რომ უშკულის საზოგადოებაში, სადაც ყველაზე მომეტებულს ჯიხვებს ხოცვენ, 1882 წელში მონადირეებს მოეკლათ 27 ჯიხვი. ენგურის ხეობაში 11 უშკულისთანა საზოგადოებაა და ცხენის წყლისაში—3. ერთ თავად თვითოეულს საზოგადოებაში ენგურის ხეობაში 15 მოკლული ჯიხვი რომ ჩავაგდოთ და ცხენის წყლის საზოგადოებაში—ათ-ათი წელიწადში, დავინახავთ, რომ მარტო სვანეთში ყოველს წელიწადს იხოცება ორას თვრამეტი ჯიხვი. ეხლა ავიღოთ ზემო რაჭის სოფლები (ღები, გლოლა, ჭიორა) და ჩრდილოეთის კავკასიის დიდ ქედთან მდებარე საზოგადოებანი—ყარაჩა, ბახსანი, ქეგემი და სხვა, რომელთაც სვანებზე ნაკლებ არ უყვართ ჯიხვის ხორცი. დაახლოვებით ვიანგარიშოთ მათ მიერ მოკლული ჯიხვების რიცხვი, და მაშინ დავინახავთ რომ სვანეთის სიგრძეზე კავკასიის დიდ ქედის ორთავე ფერდობზე და მის შტოებზე წელიწადში უნდა იხოცებოდეს არა ნაკლებ 300-ის ჯიხვისა. ეს რიცხვი ჩვენ ძლიერ ნაკლები გვგონია და არა მეტის-მეტი. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მრავალი ჯიხვი ფუჩდება კლდეზე გადავარდნით და შვავისაგან. *) სვანეთის მონადირეები ხშირად პოულობენ ნაშვავებში შიგ გახვეულს დიდრქიან ჯიხვსა.

ფრინველებში სვანებს ძრიელ უყვართ შურთხი, რომელსაც სვანები სამს სახელს უწოდებენ,—თავისუფალ და სადადიანო სვანეთში «კოჯა ქათალ» (კლდის ქათამი) და «მუყელ» (მყივანა), საბატონო სვანეთში კი—„ქვან“(?). ამ ფრინველის საცხოვრებელი ადგილი მიუვალი და თვალ-აუწვდენელი კლდეებია, სადაც ფეხმარდი ჯიხვიც კი ვერ მიუდგება. ამ მიზეზის გამო შურთხს მონადირეები იშვიათად ხოცვენ. ჩვენ არ ვიცით, კავკასიის მთებში ეს მშვენიერი ფრინველი ყველგან არის თუ არა; ვიცით კი მხოლოდ, რომ ზემო-რაჭას, სოფ. ურავისა და ლიხეთის მთებში არის და აქ ამას ეძახიან „ჯიხვის ინდოურს“. ესევე ფრინველი უნახავს ბ-ნს გ. ყაზბეგს აჭარას, ხირხათის მთაზე**).

შურთხი ტანად შინაურს ქათამზე უდიდესია; ფერად მამალი რუხ-მოთეთროა; დედალი ქვიშარია ე. ი. მოთეთრო ქვიშის ფერი. მუცელსა და მოკლე კუდ ქვეშ თეთრი ბუმბული აქვს. ლამაზი თავი მოკლე და მობრტყელო ნისკარტით, მსხვილი თვალები და ტანის შესაფერი კისერი ძლიერ ამშვენებენ უმისოდაც ლამაზს შურთხსა. კაკანი იცის ძალიან ხმით და ამისათვის სვანები ამბობენ—შურთხი კი არ კაკანებს (კარკაცე), არამედ სჭექსო (აჭქუნე). ერთ ნაირად მისი ხმა სტვენასა ჰგავს. ფრინავს ჩქარა, თითქო ფრთებ შეუკუმშავადაო, და დიდს მანძილზე. ისეთი ჩქარა გარბის (ლიგორე), რომ გაჭენებული ცხენიც ვერ დაეწევა. ბუდეს იკეთებს კლდეებში და იმ გვარად, როგორც სხვა ფრინველები. ათ კვერცხზე მეტი შურთხის ბუდეში არავის უნახავს. კვერცხი ჭორფლიანი, ფორაჯიანია. ვერ მითხრეს, რამდენს ხანს უნდება ბარტყების გამოჩეკას და აგრეთვე ვერც ის გავიგე ეხმარება თუ არა მამალი დედალს ბუდობის დროს; ეს-კი იციან მონადირეებმა, რომ ბარტყებს მამალიც უზიდავს საჭმელსა. შურთხის ხორცი სხვა ფრინველების ხორცთან შედარებით მოთეთრო და გემრიელია. შურთხი სჭამს ბალახს, წვრილს კენჭებს და სილას, ქვიშასა. ქვიშა და კენჭები ჩემის თვალით მინახავს მოკლულის შურთხის კუჭში. შურთხი ღონიერია; ორი ცოცხალი შურთხის დაკავება ერთად კაცს უძნელდება. შურთხმა კბენა არ იცის. ზამთარს კლდეებში ატარებს და, როგორც ზემოდა ვსთქვით, ჯიხვის განავლით ირჩენს თავსა. ზოგნი ამბობენ, შურთხს დათესავით სძინავს მთელი ზამთარიო (ლაჯუშს არი), მაგრამ ეს—ცხადია—ტყუილი უნდა იყოს. ფრანგებს, რომელთაც ყველაფერში შნო და გემო აქვსთ—ეტყობათ, ძლიერ მოსწონთ ეს მფრინველი. ამ ორის წლის წინად ერთს ტფილისის რუსულს გაზეთში, ვიღაცა სწერდა, რომ პარიჟში ერთი საზოგადოება „общество акклиматизаціи дикихъ животныхъ и птицъ“ ორი ათას ფრანკს იძლეოდა დედალ-მამალ შურთხშიო. შეიძლება, მოვესწროთ იმ დროს, როდესაც მოშინაურებული შურთხი ისევე დადიოდეს ჩვენ კარ-მიდამოზე, როგორც ქათმები. აქ დავუმატებთ, რომ სვანეთში გაზაფხულზე შურთხს მახით იჭერენ მომეტებულად ბარტყებს. ცოცხალი შურთხი და მისი ბარტყები რამდენიმე დღე ჰყოლიათ სახლში, მაგრამ არაფერს სჭამენ და იხოცებიან.

თავისუფალი სვანი

*) შვავი—თოვლის მეწყერი, ზვავი.

**) Три мѣсяца въ Турецкой Грузіи.

„შემდგომად დიდისა მის მეფისა თამარისა შოთა რუსთაველი, რომელიც იყო მთავარი რუსთავის ქალაქისა, იყო იგი კაცი განსწავლული და ყოვლითა კეთილ ზნეობითა და სრული ფილოსოფოსი და უსწორო პიიტიკოსი. რომელნიმე მეისტორიენი ჩვენნი (აქ ამბობს თეიმურაზ, რომ ესე ვიხილე მე გორგიჯანიშვილის ისტორიაშიაო) სწერენ, იყოვო შოთა ადგილისა მისგან, სადა უკვე სდისო ბუნებით წყარო მელნისა. შოთა რუსთავის ქალაქსა შინა არს შობილი და მთავარიცა მისვე ადგილისა, რომელიც მახლობელ არს ადგილსა მას, სადაცა აღმოდიან კუპრნი და ესე ვითარნი არიან ნავთთა მათ შორის, რომელნიც იხმარებიან მელნად და უმჯობეს ყოველთა მელანთა ესე არს“. (თეიმ. ისტ. გვ. 284).

როცა კეზელი და მის მსგავსნი ყვინჩილობენ, — ეს საკვირველი არ არის, რადგან თუ არ ამ გვარი ყვინჩილობით ისინი კვრავის უურადღებას ვერ მიიპყრობენ. მაგრამ, ნუ თუ ამ გვარი უურადღების დამსახურება სხვათათვისაც სანატრელია, რომელთაც შეუძლიანთ უფრო უკეთესის საქმით დაიმსახურონ პატივი და უურადღება?! ნუ თუ კეზელობა არის სანატრელი ვისთვისმე?!

ანტონ ფურცელაძე

## გასართობი

**ქალების შეთქმულობა.** ერთი ქვეყანა ყოფილა დედა-მიწის ზურგზე, სახელად კამერუნი. აი ამ ქვეყანაზედ და იქაურს მცხოვრებლებზედ რას მოგვითხრობს სხვათა შორის დოქტორი მაქს ბიუხნერი. როცა ზანგების ქალებს უნდათ, რომ თავიანთი ქმრები დაიყოლიონ რაზედმე, პირს შეჰკრავენ ყველანი და ამ გვარად ძალა-უნებურად დაათანხმებენ ხოლმე ქმრებსაო. ერთხელ, მაგალითად, ქალებმა მოსთხოვეს ქმრებს, რომ მეტი ფარჩეულობა მოგვეცით ხოლმე ფესტაძალებისათვისაო. ქმრები დიდს უარზე შესდგნენ. ქალებმა ეს ვერ მოითმინეს, შეჰკრეს პირი და დაანებეს თავი ქმრებსა და შამებს, წავიდნენ და იმათ მოშორებით ააშენეს ქოხები თავისუფალს მიწაზე. ქმრებს მეტი ღონე არა ჰქონდათ: თანხმობა გამოაცხადეს და შეასრულეს სურვილი თავიანთის ჯიუტის ცოლებისა.

**

**ოთხმოც-და-ათის წლის განმავლობაში.** ხომ მოგეხსენებათ, რომ გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი 90 წლისაა. და აი გერმანიის ზოგიერთ გაზეთებს ძოუცლიათ და გამოუანგარიშნიათ, რამდენი შესანიშნავი ამბავი მომხდარა იმპერატორის ასეთ ხანგრძლივს სიცოცხლის განმავლობაში. აი რა მომხდარა: ჩვენს დედა-მიწას 90-ჯერ შემოუვლია მზის გარშემო. მთვარე 1080-ჯერ გამოცვლილა. ეკკლესიის ზარებს 4,668-ჯერ მიუწვევიათ კვირაობით მლოცავები. გარიჟრაჟებულა 32,871-ჯერ. კედლის საათს დაურეკია 788,904-ჯერ, 2,840,054,400 წამს გაუვლია. 72 გვირგვინოსანს თავი დაუხებებია სამეფო ტახტისთვის: 52 მეფეს, 8 იმპერატორსა, 6 პაპის და 6 სულთანსა. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს 21 პრეზიდენტი რესპუბლიკისა გამოუცვლიათ. ამ 94 მეფეთა და პრეზიდენტთაგან დღეს ცოცხალნი არიან მხოლოდ ოთხნი და ამათაც სამეფო ტახტი დაუკარგავთ: ამედე და იზაბელა ისპანიისა, ფრანცისკი მე-II ნეაპოლელი და სულთანი მურადი მე-V. დანარჩენებში ცოცხალი ალარავინ არის.

# დეპეშა

25 აპრილი

**პეტერბურგი.** სენატმა გამოაცხადა განაჩენი კაზლოვის საზოგადოების ბანკში მოხდენილ ბოროტ-მოქმედებაზე, ყველა ბრალდებულთა საჩივარი უყურადღებოდ დაუტევა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გაზეთის „Сибирская Газета“-ს ბეჭვდა რვა თთვით შეყენებულ იქმნა.

გუშინ იდღესასწაულეს ოც-და-ათის წლის პროფესორობა ბოტკინისა. იუბილიარის სურვილით დღესასწაულობა შინაურულად გადიხადეს. მიულოცეს სხვათა შორის სამხედრო მინისტრმა და სამხედრო საექიმო აკადემიის კონფერენციამ. ტელეგრამმები და საჩუქრებიც ბლომად მოუვიდა.

ყაზანის სავეტერინარო ინსტიტუტი ნიკოლსკი პროფესორის შეურაცხყოფისათვის ერთის წლით მიეცა სამხედრო უწყების ერთს ბატალიონში.

**ბერლინი.** ოფიციოზურად იუწყებიან: რადგანაც განზრახვა არის ბაჟი მოემატოს ხორბლეულობას და ეფიქრებათ ბაჟის დადებამდე დიდ-ძალი ხორბალი არ შემოვიდესო, — ამისათვის ეხლავე ფიქრობენ ღონისძიება მიიღონ.

ამ დღეებში გენერალ-კაულბარს ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონდა ბისმარკთან ბოლგარიის საქმეების გამო და გუშინ პეტერბურგში წავიდა.

**ბელგრადი.** დედოფალი ნატალია გრაფინა ტაკოვოის სახელით მაისის 12 მიდის იალტაში და მიჰყავს მემკვიდრე. ტახტისა იალტაში 6—7 დღე დარჩება და მერე ისევ ბელგრადში დაბრუნდება.

**პარიჟი.** ბრძანება გამოვიდა ერთი კორპუსი ქვეითა ჯარისა საცდელად შემზადებულ იყოს, ნოემბრისათვის დს ისიც სამხრეთ ანუ აღმოსავლეთ დეპარტამენტებში.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატას მოხსენდა, ავღანის ემირმა ამ ახლო ხანებში ჰერატი უფრო გაამაგრა; ინგლისის მმართებლობას ჯერ პლანი არ შეუდგენია იმის შესახებ რომ ქვეტტიდამ ყანდაპარამდის რკინის გზა გაიყვანოს.

**პეტერბურგის ბირჟა, 26-ს აპრილს**

**ფ ა ს ე ბ ი:**

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 180½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — › | 1 37 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — › | 259½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 238¼ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | 97½ | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | 97 › | — › |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . . , . | — › | 84½ | — › |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14. ამაღლება 14 მაისს, სულისწმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

აპრილი 30 დღით არის.

**29 დღე ოთხშაბათი.** წმიდათა ცხრა მოწამეთა. კათოლ. პეტრესი და თეოდორესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. მთვარე 19 დღისაა.

**გამოსადეგი ცნობანი**

**ნიხრი**

16 აპრილიდამ 1 მაისამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | | 3 | › |
| › 2 › | | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | › |
| › › 2— | | 3½ | › |
| › › 3 › | | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | | | |
| 1 ლის ხარისხისა . | . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . | . | 4 | › |
| მე-3 — . | . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | › |
| › 2 › | | 7 | › |
| სუკი. . . | . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი . . | . | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | › | › |
| › 2 › | | › | › |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთსადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუსეთის-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

ქალაქის ტფილისის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 28-ს აპრილიდამ მიხაილოვის ხიდზედ შეყენებულ იქმნება—ეკიპაჟით, ცხენით და საპალნის საზიდავ სატარებლით სიარული, რადგანაც წყლის გასაყვანი მილები უნდა დააწყონ. (1—1)

დეკანოზი იაკობ მაქსიმის-ძე და ოლღა დიმიტრის ასული ჩიჯავაძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორე დედამთილისას, ნინო გაბრიელის ასულის ჩიჯავაძისას, —სთხოვენ თავის ნათესავთ და ნაცნობთ, მობრძანდნენ გვამის გასასვენებლად საკუთარ სახლიდამ, ნავთლუღში, წმიდის ბარბარეს ეკკლესიაში, ხუთშაბათს, ამა აპრილის 30-სა, დილის 9 საათზედ. 1—1

კნეინა მარიამ იოსების ასული ჯავახოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას ქმრისას გიორგი ქაიხოსროს ძის ჯავახოვისას და სთხოვს მობრძანდნენ გვამის გამოსასვენებლად 30 აპრილს, ხუთშაბათს, გორის მაზრის სოფელს ხოვლეში. (1—1)

**თამბაქო და პაპიროსები**

დონის როსტოველ მეფაბრიკეთა

**ძმათა ასლანიდებისა.**

მაღაზია ყალამქაროვის სახლში, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პაპიროსის მწეველთა და თუთუნის ვაჭართა, რომ ამა წლის 15 თებერვლიდგან ჩვენ დავიწყეთ თამბაქოს ვაჭრობა; ვყიდით ყველა გვარისა და ღირსების თუთუნსა და პაპიროსებს ჩვენის ფაბრიკისას. ჩვენი თუთუნი ისეთის განსაკუთრებულის თვისებისაა, ისეთი კარგი მოსაწევია, გრილია და სასიამოვნოდ სუნელოვანი, რომ დიდი ხმა აქვს გავარდნილი და დიდ-ძალიც ისყიდება რუსეთის იმპერიის ბევრს დიდს ქალაქებში და სამზღვარ-გარედ. ტფილისში და ამიერ-კავკასიაში დღემდე ჩვენი თუთუნი არ იყო ხმარებაში. ამიტომ დღეს გავმართეთ ზემოხსენებული საფაბრიკო მაღაზია და გვსურს გავავრცელოთ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი. უმორჩილესად ვსთხოვთ პაპიროსისა და თუთუნის მწეველთ, ინებონ და იგემონ ჩვენის ფაბრიკის თუთუნი და პაპიროსები.

ბბ-ნთ ვაჭართ იმდენი დავუთმობთ თუთუნის სყიდვის დროს, რამდენსაც საზოგადოდ ფაბრიკები უთმობენ ხოლმე.

მეფაბრიკენი ძმანი ასლანიდები

(25—15)

ქუთაისის თავად-აზნაურთ სათავადაზნაურო მამულთა ბანკის ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-79 § ძალით, წლიური მორიგი საზოგადო კრება ხსენებულის ბანკის ბბ. წევრთა არის დანიშნული ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, ამა 1887 წლის ათს მაისს, დილის 11 საათზე. თუ ეს კრება არ შესდგა, მაშინ, იმავე წესდების 83 § თანახმად, ინიშნება მეორე მაისისავე 25-ს, დილის 11 საათზე.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან:

ა) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1886 წლისა.

ბ) დამტკიცება ხარჯთ-აღრიცხვისა 1887 წლისა.

გ) შეცვლა და დამატება ზოგიერთთა ბანკის წესდების §§.

დ) აღნიშვნა იმ საგნებისა, რომლებზედაც უნდა მოხმარებულ იქმნეს საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გადადებული ფული.

ე) აღრჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარისა, ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამგეობის წევრთა კანდიდატისა, (2—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მწვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, ქუთაისში ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

**დასტურლამალი**

მეფის ვახტანგ მეექვსისა,

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

**„მოლაღური,,**

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში:

**სმაილსის თვით განვითარება**

თარგ. ივ. როსტომაშვილისმიერ.

გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი

Доз. ценз. Тиф. 28 апрѣля, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე